

ახალი კითხვები – საჯარო კამათის ტექნოლოგიები



წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მხარდაჭერით



თბილისი, 2018
გამომცემლობა „იურისტების საგზარო“

წიგნი „ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები“ მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამოსამართლო მჭევრმეტყველებს“ ფარგლებში.

ავტორები: პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი,
ი. გაბისონია
ივ. ჯაგოდნიშვილი

რედაქტორები: პროფ. ჯ. განთკიძე
ჯ. გაბელია
ქ. ქექრაშვილი

ტექნიკური შეისრულებელი: ა. ფიფია

- © თ.ჯაგოდნიშვილი, ი.გაბისონია, ივ.ჯაგოდნიშვილი, 2018
- © გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ.: (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9585-0-2

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	3
თავი I. რიტორიკა: აზრი, სემანტიკა, დანოწმუნება.....	7
1.1. რიტორიკის თეორიული ელემენტები.....	13
თავი II. ქართული ორატორიული ხელოვნების დარგები...	22
თავი III. რიტორიკის ქართული ტერმინოლოგიის შესახებ.....	28
თავი IV. ქართული სამოსამართლო მკვლევარული განვითარების გზა.....	32
თავი V. ორატორიული მეტყველების (მკვლევარული) კულტურის ბუნება.....	59
თავი VI. რამდენიმე სიტყვა სამოსამართლო მკვლევარული სტილის შესახებ.....	95
6.1. მეტყველების ფსიქოლოგიური კომპონენტები...	124
6.2. მეტყველების ფსიქოლოგიური რეგისტრები	128
6.3. თანაფარდობა (შეფარდება)	144
6.4. ინტრიგა	147
6.5. ინტრიგოლინგვისტიკა	154
6.6. ლექსითი ვარჯიში	177
6.6. შედარება	180

თს30 VII. რატორული ტექსტის ავების ტექნოლოგია....	193
7.1. შესავალი	200
7.2. რატორული სიტყვის ძირითადი ნაწილი:.....	203
7.3. დასკვნა.....	204
7.4. მისაზრების დასაბუთება რატორულ ხელოვნებაში	206
7.5. ფაქტობრივი მასალა	215
7.6. სიტყვის სტრუქტურა.....	223
7.7. მეტყველების სტილის განმსაზღვრელი ენობრივი ტენდენციები.....	234
თს30 VIII. კამათის სახეები	240
8.1. პოლემიკა	240
8.2. დებატები	246
8.3. დისკუსია:	250
8.3.1. დისკუსიის ტექნოლოგიური ასპექტები	252
8.3.2. დისკუსიაში ჩართვა.....	256
8.3.3. შეკითხვები და შენიშვნები დისკუსიაში	257
8.3.4. შეკითხვა-ნაფანგი	258
8.3.5. შენიშვნები დისკუსიაში	259
8.3.6. შემაჯამებელი სიტყვა დისკუსიაში.....	262
8.3.7. დისკუსიის წარმართვის მეთოდოლოგიური ელემენტები	263
8.3.8. დისკუსიის მართვის ტექნოლოგია	265
გამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურა	274

წინასიტყვაობა

რიტორიკა ცოდნის ძირძველი სფეროს აღმნიშვნელი ტერმინია. იგი მეტყველებით, სიტყვით მიზნის მიღწევის სტრატეგიების, ტექტიკების, მოდელების, ტექნოლოგიების ცოდნის ვეებერთელა სფეროა. რიტორიკის თეორია და პრაქტიკა ჩვენგან ათასწლეულებით დამორჩეული ეპოქების გზაგნილია, რომელიც არა მხოლოდ იმას იუწყება, თუ როგორ აღწევდნენ ძველად პროფესიონალები, საჯარო მოხელეები მიზანს მეტყველებით, სიტყვით, არამედ ამ მხრივ ისეთ ცოდნა-გამოცდილებასაც გვთავაზობენ, რომელსაც ყავლი არც ჩვენს ეპოქაში ვასვლია და ჩვენი თანამედროვე ენობრივი პიროვნების პროფესიული დაოსტატებისათვისაც შეუცვლელია.

რიტორიკა და მისი დიდი ისტორია იმასაც ცხადყოფს, თუ დრო და დრო როგორ გულგრილობას იჩენდნენ ადამიანები რიტორიკის მიერ შემოთავაზებული ცოდნისადმი; გვაუწყებს, რომ ხან მოთხოვნადი იყო, ხანაც უარყოფილი და მივიწყებული... მიზეზი განათლებისადმი საზოგადოებათა დამოკიდებულება იყო, უფრო ზუსტად, განათლების რეფორმის არსის გაზრება.

განათლების რეფორმის საზოგადოება ყოველთვის ისე აღიქვამდა და აღიქვამს, როგორც „დაავადებული“, ყავლგასული განათლების სისტემაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის მცდელობას. არადა, განათლება თავისი ბუნებით, არსებობით უწყვეტი რეფორმის მდგომარეობაშია, იგი ისტორიული რეალობაა. მხედველობაში მისაღები ისიც არის, რომ „ცოდნის სტრუქტურები“ არასოდეს ემთხვევა „განათლების

სტრუქტურებს, რადგან საზოგადოება არასოდეს ასწავლის ყველაფერს, რაც იცის, უფრო ისეთი მოძველებული ცოდნის სწავლას აგრძელებს, რაც უარყოფილია ხოლმე ცოცხალი მეცნიერების მიერ (ჟერარდ შანელი).

ტრადიციული რიტორიკის ისტორია სულ ბოლოს, ახალ ეპოქაში, XIX საუკუნის დასაწყისში შეწყდა. მიზეზი რომანტიზმის მოვლინება და ლიტერატურის ისტორიული გაზრების დამკვიდრება გახდა. თუმცა ისტორიის შეწყვეტა ისტორიის დასასრული მაინც არ ყოფილა, რადგან ბუნებაში უკვალოდ არაფერი ქრება, რადგანაირ კვალს ყოველთვის ტოვებს. გამონაკლისი, ცხადია, არც რიტორიკაა. იგი არ გამქრალა, მხოლოდ შეიცვალა...

XIX საუკუნედე რიტორიკა ღიაობით (ექსპლიციტობით) გამოიჩინდა. მოსწავლეებს ასწავლიდნენ ტრიალებს, შემდეგ წერის უნარებს. მნატურული ტექსტები მხოლოდ შესწავლის საგნებს კი არ წამოადგენდნენ, არამედ მიბაძვის ნიმუშებსაც. ამასთან ერთად, რიტორიკა მეტყველების (წერილისაც და ზეპირისაც) სტილის ხეების სწავლებასაც იყო თრინტირებული. ერთი სიტყვით, რიტორიკა, როგორც ცოდნის დარგი, სამი ტრადიციული ნაწილისაგან შედგებოდა:

პირველი ნაწილი – **investition** – იდეების, არგუმენტების ძიების ტექნოლოგიებს მოიცავდა, მეორე – **dispositio** – საჯარო სიტყვის კომპონიციის აგების პრობლემების სწავლებით იყო შემოფარგლული, მესამე – **elocutio** – ტექსტისათვის სიტყვების შერჩევა-განლაგების ტექნოლოგიებზე იყო თრინტირებული.

XIX საუკუნის დასაწყისში შეიცვალა რიტორიკის იდე-

თლოგიური სტატუსი. თეოციკალიური ლექსიკონებიდან გაქრატერმინი „რიტორიკა“. სსსაუბრთ, საურთიერთთ მეტყველებში რიტორიკამ დამამცირებელი კონოტაცია შეიძინა – ცარბიელა, მალაღფარდოვანი ყბედობისა და პედანტობის სინონიმი გახდა.

შეიცვალა რიტორიკის სემიოტიკური სტატუსიც. თუ ადრე მოსწავლეები მნატვრული ტექსტების შესწავლითა და მათი ავტორების მიბადებით სწავლობდნენ წერას, XIX საუკუნეში მხოლოდ ტექსტების შესწავლა ევალეობდათ, მათი კლასიკოსი ავტორების მიბდვის მეთოდოლოგია კი გაქრა. ტექსტების შესწავლაც გავიდა რიტორიკის სფეროდან და ლიტერატურის შესახებ მეცნიერების სფეროში მოექცა.

რიტორიკას, ცხადია, შეეცვალა სტატუსიც. თუ ანტიკური რიტორიკა იდეების არგუმენტების ძიების რიტორიკა იყო, ხოლო კლასიკური რიტორიკა – სიტყვათა შერჩევა-განლაგების რიტორიკას წარმოადგენდა, თანამედროვე (ახალი) რიტორიკა კომპონიციის რიტორიკად წარმოსდგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალმა ებთქამ – XIX საუკუნიდან მოყოლებული – ძველი რიტორიკიდან ტექსტის კომპონიციის თეორია და ტექნოლოგიები იმეკვიდრა და ამით საფუძველი ჩაუყარა **ახალ რიტორიკას**. ამ ახალი რიტორიკის მესაძირკველედ ითვლება პასკალი. მის მიხედვით ახალი რიტორიკის ფილოსოფია იუწყება: „**ნუ მეტყვიან, რომ ახალი არაფერი მითქვამს. საიხლეს მასალის განლაგება წარმოადგენს**“.

სწორედ ამ გამათვლებლად უცნაური მიგნებით ეხმიანება ამჟამინდელი რიტორიკა ჩვენს თანამედროვეობას, რომ-

ლის ყველაზე ძვირადღირებული კაპიტალი ინფორმაციაა და აქედან გამომდინარე კომუნიკაცია, როგორც ამ ინფორმაციის აღრესატამდე მიტანისა და მიზნობრივი ზემოქმედების ტექნოლოგია. ფაქტი, მოვლენა, ხდომილება კი ინფორმაციად მხოლოდ მაშინ იქცევა, როდესაც ტექსტად ჩამოიქმნება; ხოლო ტექსტი სიტყვების უბრალო თავმოყრა კი არ არის, არამედ სიტყვების, ფრაზების, გამოთქმების მიზნობრივი დალაგება-განლაგება. ახალი რიტორიკის შინაარსს, პრობლემაზე არეს სწორედ ამ უაქტუალურესი ამოცანის (დექლარაცია-ფაქტუალურობის მიხედვით, შეტყუება, მომარჯვება) რეალიზების ტექნოლოგიები ქმნიან.

აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ რიტორიკის მემკვიდრე ახალი რიტორიკა ენობრივი პიროვნების (ვინც ენას, მეტყველების ტექნოლოგიების, ცოდნას პროფესიულ საქმიანობაში გამოიყენებს) პროფესიული საქმიანობის წარმატების საფუძვლების ცოდნის მომცემი დარგია, მისი მნიშვნელობა და აქტუალობაც ამ დიდი ამოცანებით არის განსზღვრული.